ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის
სხდომის ოქმი №7

ლანჩხუთი **14.12.2021 წელი**
12.00 საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე – **გიორგი ხელაძე.**

სხდომას ესწრებოდნენ: ია მოქია, კახაბერ ასკურავა, მაკა მშვიდობაძე, კარლო წილოსანი, ნინო მშვიდობაძე.
არ ესწრებოდა: საპატიო მიზეზით სხდომას დარეჯან ბურჭულაძე.
სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგი:

1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე/

2. სხვადასხვა საკითხები.

1. დღის წესრიგის პირველ საკითხზე - ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმა სხდომას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ხელაძემ. კომისიის წევრებმა ძირითადად მოიწონეს წარმოდგენილი სამუშაო გეგმა. ამასთან ერთად გამოითქვა სხვადასხვა წინადადება, მოსაზრება: საკრებულოს წევრმა ია მოქიამ აღნიშნა, რომ კარგი იქნება თუ საკრებულოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების კანონთან შესაბამისობის დადგენა გაგვეთვალისწინებინა სამუშაო გეგმაში.

გამოთქმული შენიშვნების, წინადადებების გათვალისწინებით კენჭი ეყარა კომისიის სამუშაო გეგმის დამტკიცებას. (სამუშაო გეგმა დანართის სახით თან ერთვის).

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე-6

წინააღმდეგი – 0

სხვადასხვაში: ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ მაკა მშვიდობაძემ და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ კახაბერ ასკურავამ დააყენეს წინადადება სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად. ასევე აღნიშნეს, რომ მოსახლეობასთან შეხვედრების მიზნით პირველ ან მეორე სართულზე მათთვის გამოეყოთ სამუშაო ოთახი.

ვინაიდან სხვა საკითხები კომისიის წევრების მიერ არ დასმულა, კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: **გიორგი ხელაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის

დასკვნა №7

ლანჩხუთი

14. 12. 2021წელი

1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმის განხილვის შესახებ.

დასკვნა:

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ წარმოდგენილი სამუშაო გეგმის პროექტი მომზადებულად ცნო საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

კომისიის თავმჯდომარე: გიორგი ხელაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

14.12.2021 წელი
12:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	გიორგი ხელაძე	11 50	
2	ია მოქია	12:00	
3	კახაბერ ასკურავა	12:00	
4	მაკა მშვიდობაძე	12:00	
5	კარლო წილოსანი	11:55	
6	ნინო მშვიდობაძე	12:00	
7	დარეჯან ბურჭულაძე	საპატიო მიზეზით არ ესწრება	